ლევან წაქაძე*

საზოგადოებაზე ორიენტირების საჭიროება საპოლიციო საქმიანობაში: ინსტიტუციური ანალიზი

I. შესავალი

საზოგადოებრივ სიმშვიდესა და მართლწესრიგზე პასუხისმგებელი ინსტიტუტის არსებობა, ქვეყანაში სამოქალაქო უსაფრთხოების განმტკიცების თვალსაზრისით, ერთობ მნიშვნელოვანი და აუცილებელია. ამ კუთხით, საქართველოში პასუხისმგებლობას იღებს შინაგან საქმეთა სამინისტრო, თავისი ტერიტორიული ორგანოების მეშვეობით. საჯარო ფუნქციათა ეფექტიანი განხორციელება დამოკიდებულია სამინისტროს ტერიტორიულ ორგანოებსა და მასში დასაქმებული საჯარო მოხელეების ეფექტიან მუშაობაზე. ამ მიზნით სამინისტროში იქმნება სხვადასხვა მიმართულების დეპარტამენტები, რომელთა საქმიანობა რეგლამენტირებულია სწორედ ფუნქციური და ორგანიზაციული თვალსაზრისით. საპოლიციო საქმიანობა უნდა ემყარებოდეს კონკრეტულ მიზნებს, რომელთა ძირითადი არსი თანამშრომლობაზე ორიენტირებული პოლიტიკის წარმოებაში მდგომარეობს. საპოლიციო საქმიანობის სწორი პოლიტიკა კი განისაზღვრება სწორედ საზოგადოებასა და პრობლემაზე ორიენტირებულობის ხარისხით.[1] აქედან გამომდინა-

---

* სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის დოქტორანტი, დანაშაულისა და სისხლის სამართლის მართლმსაჯულების ცენტრის მკვლევარი. orcid.org/0000-0001-9008-2975.

[1] Ikerd T., Walker S., Making Police Reforms Endure – The Keys for Success, Washington D.C., 2010, 8.

რე, ნათელია, რა მიმართულებით უნდა განვითარდეს სამინისტროს ორგანიზაციული და სამართლებრივი ჩარჩო, რათა დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა მეთოდურად წარიმართოს და მაქსიმალური ეფექტი ჰქონდეს.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სტრუქტურული ქვედანაყოფი კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტია, რომლის ტერიტორიული ორგანოების დაქვემდებარებაში შედის პოლიციის საუბნო სამსახურები.[2] თავად საუბნო სამსახურის საქმიანობის ისტორიულ-გენეტიკური ანალიზი ცხადყოფს, რამდენად მნიშვნელოვანია მისი სტრატეგიული განვითარება და იმ ინსტიტუციური შეცდომების გააზრება, რამაც ვერ უზრუნველყო საზოგადოებისა და სამართალდამცველების კონსოლიდაცია დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლაში. სწორედ ამ მნიშნელოვან საკითხებს დაეთმობა ყურადღება წინამდებარე სტატიაში და გაანალიზდება ქვეყნის წარსულ საპოლიციო გამოცდილებაზე დაყრდნობით, საუბნო სამსახურის არსებული მოდელი და გამოიკვეთება პარტნიორობაზე დაფუძნებული სამართალდაცვითი საქმიანობის კრიტიკული საჭიროება თანამედროვე პირობებში.

II. საუბნო სამსახურის უფლებამოსილებათა ევოლუცია

შინაგან საქმეთა სამინისტრომ თავისი არსებობის მანძილზე მრავალი ინსტიტუციურ-სტრუქტურული ცვლილება განიცადა. აღნიშნული ცვლილებები მეტწილად ხორციელდებოდა 1921 წლის 25 თებერვლიდან 1968 წლის 19 ნოემბრამდე, საბჭოთა ოკუპაციის პერიოდში. უნდა აღინიშნოს, რომ 1968 წლის 19 ნოემბრის შემდეგ შინაგან საქმეთა სისტემას მნიშნელოვანი ცვლილებები არ განუცდია 2003 წლის 23 ნოემბრამდე, ვარდების რევოლუციამდე (რის

[2] <https://police.ge/ge/ministry/structure-and-offices> [30.04.2022]

შემდეგაც საქართველოში სამართალდამცავ სფეროში პირველი ძირეული რეფორმები დაიწყო).[3]

პოლიციის საუბნო სამსახურში უბნის ინსპექტორების ინსტიტუტის შემოღება 2005 წელს უკავშირდება. რეფორმა მიმართული იყო პოლიციაში საზოგადოებაზე ორიენტირებული და ნდობაზე დაფუძნებული მიდგომის შეტანისკენ. საპოლიციო საქმიანობის მნიშვნელოვანი ასპექტი სწორედ ძალოვანი ორგანოს და საზოგადოების ჯანსაღ ურთიერთობას ემყარება.[4] ნიშანდობლივია, რომ სწორედ ორიათასიანი წლებიდან დაიწყო აქტიურად დასავლურმა ცივილიზაციამ პოლიციისა და საზოგადოების რეინტეგრაცია.[5]

მოსახლეობასთან საზოგადოებაზე ორიენტირებული პოლიციის მუშაობა დაკავშირებულია პრობლემებზე ორიენტირებულ უბნის პოლიციის მუშაობასთან და მოკვლევაზე დაფუძნებული პოლიციის საქმიანობის ორგანიზებასთან.[6] იგი განსხვავდება რეაქციული საპოლიციო საქმიანობის სტრატეგიებისგან, რომლებიც XX საუკუნის ბოლოს დომინირებდნენ. ის არ გამორიცხავს რეაქციული საპოლიციო საქმიანობის საჭიროებას, თუმცა წარმატებულ პრევენციას შეუძლია ამ უკანასკნელის საჭიროების შემცირება. პოლიციის არაერთ ქვედანაყოფს ჰყავს ჯგუფები, რომლებიც კონკრეტულად ფოკუსირებულია მოსახლეობასთან საზოგადოებაზე ორიენტირებული პოლიციის მუშაობაზე (მაგ., გაერთიანებულ სამეფოში უბნის პოლიციის ჯგუფები განცალკევებულია უფრო მეტად ცენტრალიზებული ერთეულებისგან, რომლებიც რეაგირებენ საგანგებო შემთხვევებზე)[7].

---

[3] ბახტაძე რ., პოლიცია საქართველოში: უსაფრთხოებისა და ანგარიშვალებულობის საჭიროება, თბილისი, 2014, 4-9.

[4] Gaines L., Kappeler V., Policing in America, 8th Ed., New York, 2015, 181.

[5] Swanson C., Territo L., Taylor R., Police Administration, Structure, Processes and Behaviors, 9th Ed., Boston, 2017, 41-44.

[6] Mawby R., Models of Policing, in: Handbook of Policing, Edited by T. Newburn, 2nd Ed., Devon, 2008, 17-18.

[7] Karen B., Community, Intelligence-led Policing and Crime Control, London, 2013, 125.

ვარდების რევოლუციისშემდგომ საქართველოში ჯერ კიდევ მყარად არსებობდა საბჭოთა საქართველოს მილიციისადმი უარყოფითი დამოკიდებულება, რადგან საქმიანობის ძირითადი მიმართულებები კვლავაც უცვლელი იყო. ამიტომ საჭირო გახდა საზოგადოებისა და პოლიციის ურთიერთობის მოწესრიგება, რაც 2005 წელს სწორედ საუბნო სამსახურების სისტემის შექმნაში გამოიხატა, რომელიც თავდაპირველად საპატრულო პოლიციის დაქვემდებარებაში იმყოფებოდა, ხოლო 2006 წლიდან კი გადაინაცვლა კრიმინალური პოლიციის დაქვემდებარებაში.[8] უბნის ინსპექტორებს ენიჭებოდათ კონკრეტულ ქალაქში სამოქმედო ტერიტორიები, შესაძლებელია ეს ყოფილიყო კონკრეტული ქუჩა, მიკრორაიონი ან/და კორპუსი. ისინი მოვალენი იყვნენ მოსახლეობასთან აქტიური ურთიერთობით შეესწავლათ სამოქმედო ტერიტორიაზე არსებული ვითარება, ჰქონოდათ მიმდინარე რეჟიმში ინფორმაცია არსებულ ოპერატიულ ვითარებასა და შესაძლო დანაშაულებრივ ქმედებებზე.[9] მეტიც, უბნის ინსპექტროს უნდა სცოდნოდა მოქალაქეთა მასობრივი დასვენების, რელიგიური და სხვა წეს-ჩვეულებების ჩატარების ადგილებისა და საზოგადოებრივი შეკრების სხვა ადგილების შესახებ, აგრეთვე მათ უნდა ჩაეტარებინათ ნარკომანიისა და ალკოჰოლიზმის საწინააღმდეგო კამპანიები სკოლებსა და სააღმზრდელო დაწესებულებებში, განსაკუთრებით კი, მათ დიდი წვლილი უნდა შეეტანათ ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლაში. ამ მიზნით ისინი ე.წ „უბნის პასპორტებში“ აღრიცხავდნენ ოჯახურ ძალადობაში შემჩნეულ პირებს, ოჯახური და მეზობლური კონფლიქტის გამოვლენის შემდეგ კი სწავლობდნენ კონფლიქტის წარმოშობის მიზეზებს და თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში მუშაობდნენ

---

[8] დანაშაულის პრევენცია, საპოლიციო საქმიანობის რისკები, ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC), თბილისი, 2017, 33.

[9] საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2005 წლის 26 აგვისტოს N875 ბრძანება „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ტერიტორიული ორგანოების საუბნო სამსახურების შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“, მე-10 მუხლი.

ამ მიზეზების აღმოფხვრის საკითხებზე.[10] უბნის ინსპექტორთა საქმიანობა ამით არ სრულდებოდა, დებულება, რომელიც 2005 წელს შეიქმნა, მას მრავალმხრივ უფლებამოსილებას ანიჭებდა, თუმცა კონტექსტი ადვილად წასაკითხი იყო. უბნის ინსპექტორები უნდა ყოფილიყვნენ პოლიციის ის თანამშრომლები, რომლებიც საზოგადოების ნდობით აღჭურვილი პირები იქნებოდნენ.[11]

აღსანიშნავია, რომ თავდაპირველ ეტაპზე, 2006 წლიდან უბნის ინსპექტორთა მიმართ გაიზარდა ნდობა და ზემოაღნიშნული უფლებამოსილებების პრაქტიკაში განხორციელებამ მათი საზოგადოებასთან დაახლოება განაპირობა. პარტნიორობის იდეამ გაამართლა და ამის ერთ-ერთი უპირველესი მიზეზი იყო ის გარემოება, რომ პოლიციამ, როგორც ინტიტუტმა, უბნის ინსპექტორების მეშვეობით დაიწყო საზოგადოებასთან საუბარი,[12] მიიღო სოციუმისგან ინფორმაცია, რა მას სურდა და როგორ უნდა გადაჭრილიყო გარკვეული პრობლემები.[13] ეს გასაკვირი არც არის, ვინაიდან საზოგადოებაზე ორიენტირებული პოლიციის მუშაობა მოსახლეობასთან სრულად პერსონალიზებული პოლიციის მუშაობის იდეაა, როცა ერთი და იმავე პოლიციის ოფიცერი მუდმივად პატრულირებს და მუშაობს ერთსა და იმავე ტერიტორიაზე.[14] განსაკუთრებით მნიშნელოვანია მსგავსი მიდგომის ჩამოყალიბება საზოგადოებაში პოსტ-კონფლიქტურ პერიოდში, რადგან კრიმინალისთვის სოციალური პირობების გაქარწყლება პოლიტიკის მნიშვნელოვანი მიმართულებაა.[15]

---

[10] იქვე, მე-15 მუხლი.

[11] Reisig M., Kane R., The Oxford Handbook of Police and Policing, Oxford University Press, 2014, 34.

[12] Dunn J., Trust and Political Agency, Trust: Making and Breaking Cooperative Relations, Austin, 2008, 74.

[13] Tilley N., Modern Approaches to Policing: Community, Problem-oriented and Intelligence-led, in: Handbook of Policing, Edited by T. Newburn, 2nd Ed., Devon, 2008, 373-383.

[14] Ferreira B., The Use and Effectiveness of Community Policing in a Democracy, National Institute of Justice, 1996, 7.

[15] Tilley N., Modern Approaches to Policing: Community, Problem-oriented and Intelligence-led, in: Handbook of Policing, Edited by T. Newburn, 2nd Ed., Devon, 2008, 376.

საუბნო სამსახური და უბნის ინსპექტორთა ინსტიტუტი ყველაზე ახლოს იდგა უფლებამოსილებების კუთხით საზოგადოებაზე ორიენტირებული პოლიციის იდეასთან. სწორედ ამ იდეის მიხედვით, უბნის პოლიციამ უნდა უზრუნველყოს იმ დანაშაულებათა გახსნა, რომლითაც შეშფოთებულია მოსახლეობა საზოგადოებასთან მუშაობითა და მისგან მხარდაჭერის მიღებით. ამის ყველაზე ეფექტური საშუალებაა დიალოგი პოლიციას, მთავრობას, მოქალაქეებსა და ადგილობრივ ბიზნესებს შორის მოსახლეობის პრობლემების მოსაგვარებლად. პოლიცია მოსახლეობასთან კომუნიკაციას სხვადასხვა გზით უნდა ახორციელებდეს გამოკითხვების ან კვლევების, საქალაქო შეხვედრების, ზარების პროგრამების და ინტერესთა ჯგუფებთან შეხვედრების ჩათვლით. ისინი უნდა იყენებდნენ ამ კავშირებს იმის გასაგებად, თუ რა სურს მოსახლეობას თავისი პოლიციის ოფიცრებისგან და რისი გაკეთება სურს მოსახლეობას დანაშაულთა აღმოსაფხვრელად.[16] წარმატების მნიშვნელოვანი ინდიკატორია მოსახლეობის მხრიდან იმის გააზრება, რომ საზოგადოებრივი უსაფრთხოების განმტკიცების პროცესში თავად არიან ჩართულნი და თავად ქმნიან უსაფრთხო გარემოს. ეს მძლავრი საზოგადოებრივი კავშირის ჩამოყალიბების საწინდარია, რომელიც პოლიციასთან ერთად პრობლემაზეა ორიენტირებული.[17]

უბნის ინსპექტორთა სამართლებრივი უფლებამოსილებების ამგვარად ჩამოყალიბებამ საკანონმდებლო დონეზე აიყვანა საზოგადოებაზე ორიენტირების ხარისხი,[18] შესაბამისად, შედეგმა არ დააყოვნა და კრიმინალთან ბრძოლა პოსტ-რევოლუციურ ეტაპ-

---

[16] Lawrence S., McCarthy B., What Works in Community Policing, A Best Practices Context for Measure Y Efforts, University of California Berkeley, 2013, 7.

[17] Lofland L., Police Procedure and Investigations, Writer's Digest Books, 2007, 5-6.

[18] საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2005 წლის 26 აგვისტოს N875 ბრძანება „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ტერიტორიული ორგანოების საუბნო სამსახურების შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე".

ზე წარმატებულად ჩაითვალა.[19] თუმცა მოგვიანებით, 2007 წელს „ტერიტორიული ორგანოების საუბნო სამსახურების შესახებ ინსტრუქციაში“ შეტანილ იქნა ცვლილებები და დამატებები, რითაც უბნის ინსპექტორთა სამსახურს დაემატა ოპერატიული და საგამოძიებო საქმიანობის უფლებამოსილება.[20] აღნიშნული კი გარდამტეხი აღმოჩნდა საზოგადოებაზე ორინეტირებული პოლიციის იდეის დასასრულისათვის. ოპერატიული საქმიანობა, თავისი იდეით, მოიცავს ინფორმაციის მოპოვებას ღია თუ ფარული მეთოდებით ჩატარებული ღონისძიებების შედეგად.[21] უმთავრესად კი ოპერატიული საქმიანობა დამყარებულია საიდუმლო აგენტის – კონფიდენტის მიერ მიწოდებულ ინფორმაციასა და „ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებათა შესახებ “კანონით გათვალისწინებულ სხვა ფარულ მოქმედებებზე. ეს კი ფაქტობრივად უბნის ინსპექტორის უფლებამოსილებებსა და დღის წესრიგს სრულიად ცვლის. მისი ინფორმაციის წყარო ხდება კონფიდენტი და არა საზოგადოება. ამ ცვლილებებმა უბნის ინსპექტორი ჩამოაცილა საზოგადოებას, შეცვალა კომუნიკაციის ორიენტირი, რითაც დამთავრდა საზოგადოებაზე ორიენტირების პოლიტიკა. საზოგადოებისა და პოლიციიის პარტნიორობის იდეა ემყარება ორმხრივ, უშუალო და გულახდილ ურთიერთობას, რომელიც შეცვალა ოპერატიული საქმიანობის ისეთმა მეთოდებმა, როგორიცაა, საიდუმლო პირისგან კონფიდენციალური ინფორმაციის მიღება, დანაშაულებრივ ჯგუფში საიდუმლო თანამშრომლის ჩართვა და სხვა, რაზე დაყრდნობითაც ცხადია პოლი-

---

[19] დანაშაულის პრევენცია, საპოლიციო საქმიანობის რისკები, ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC), თბილისი, 2017, 33.

[20] საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 16 მაისის N702 ბრძანება „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ტერიტორიული ორგანოების საუბნო სამსახურების შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2005 წლის 26 აგვისტოს N875 ბრძანებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე“, მე-4 და მე-10 მუხლები.

[21] „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლი.

ციამ საქმიანობის მიმართულება შეიცვალა. ამან კი გამოიწვია საზოგადოებისგან მისი დისტანცირება და შესაბამისად, საქმიანობის ეფექტიანობა მნიშვნელოვნად შემცირდა.[22]

რაც შეეხება უბნის ინსპექტორისთვის საგამოძიებო უფლებამოსილების მინიჭებას, აღნიშნული გამომძიებლის ინსტიტუტს ზრდიდა უბნის ინსპექტორთა ინსტიტუტის ხარჯზე, რაც წარმოუდგნელად დიდი შეცდომა იყო საპოლიციო უფლებამოსილებათა ადმინისტრირების კუთხით. პრაქტიკულად, უბნის ინსპექტორის თანამდებობაში გაერთიანდა საპოლიციო საქმიანობის სამი ძირითადი მიმართულება: საზოგადოებაზე ორიენტირებულობა, ოპერატიული უფლებამოსილება და საგამოძიებო სფერო.

2007 წლის ცვლილების შემდეგ, სამართლებრივი კონტექსტიდან გამომდინარე, უბნის ინსპექტორები კონცენტრირდნენ ოპერატიული ინფორმაციის მოპოვებასა და გამოძიებაზე, ამ უკანასკნელმა კი ისინი მიაჯაჭვა კომპიუტერებს[23] და საზოგადოებრიობის ის ასპექტი, რომელიც ინსტიტუტის თავდაპირველი ორიენტირი იყო, სრულად დაიკარგა.

III. ინსტიტუციური რეანიმირების მცდელობა

უბნის ინსპექტორთა სახეცვლილებამ და საზოგადოებაზე ორიენტირებულობის პოლიტიკის დაკარგვამ დროთა განმავლობაში პრობლემები გამოიწვია. საზოგადოებისა და პოლიციის დისტანცირებამ ხელი შეუწყო კრიმინალის ზრდას და უნდობლობის გაღრმავებას.[24] საზოგადოებაზე ორიენტირების პოლიტიკას სამინისტრო მხოლოდ ფასადურად ინარჩუნებდა.

---

[22] Gaines L., Kappeler V., Policing in America, 8th Ed., New York, 2015, 33.

[23] ამ პერიოდში შეიქმნა საგამოძიებო ელექტრონული სისტემა CRIME CASE.

[24] დანაშაულის პრევენცია, საპოლიციო საქმიანობის რისკები, ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC), თბილისი, 2017, 36.

შესაბამისად, ქართული სახელმწიფოს წინაშე კიდევ ერთხელ მწვავედ დადგა პოლიციასა და საზოგადოებას შორის დისტანციის შემცირების აუცილებლობის საკითხი. პრაქტიკულად, არსებულმა ვითარებამ ცხადყო, რომ საუბნო სამსახურის და კერძოდ, უბნის ინსპექტორის ინსტიტუტის თავდაპირველი საქმიანობის[25] საჭიროება კვლავ აქტუალური გახდა, მაგრამ საგამოძიებო და ოპერატიულმა უფლებამოსილებებმა უბნის ინსპექტორი ფაქტობრივად „შთანთქა". გარდა ამისა, უნდა აღინიშნოს ის გარემოებაც, რომ უბნის ინსპექტორის ინსტიტუტი ვერც საგამოძიებო უფლებამოსილებას ახორციელებდა მაღალი ხარისხით. პრაქტიკულად, სამინისტრო აღმოჩნდა ინსტიტუციური კოლაფსის წინაშე.

2018 წელს შინაგან საქმეთა სამინისტრომ დააანონსა კრიმინალური პოლიციის რეფორმა.[26] „სისტემური განახლების" პირობებში ერთმანეთისგან უნდა გამიჯნულიყო საგამოძიებო, ოპერატიული და საუბნო მიმართულებები. უფრო კონკრეტულად კი, კრიმინალურ პოლიციაში იქნებოდნენ გამომძიებლები, რომლებიც იმუშავებდნენ მხოლოდ გამოძიებაზე, დეტექტივები, რომლებიც პასუხისმგებელნი იქნებოდნენ მხოლოდ ოპერატიულ მუშაობაზე და მართლწესრიგის ოფიცრები, რომლებიც ორიენტირებულნი იქნებოდნენ პრევენციულ საპოლიციო საქმიანობასა და საზოგადოებაზე.[27]

ამ მიზნით უკვე 2019 წელს გადაიდგა კონკრეტული ნაბიჯები, კერძოდ, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2019 წლის 16 დეკემბრის N102 ბრძანების საფუძველზე ძალადაკარგულად გამოცხადდა 2005 წლის 26 აგვისტოს N875 ბრძანება, რომლითაც თავდაპირველად დამტკიცდა საუბნო სამსახურების ინსტრუქცია

---

[25] საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2005 წლის 26 აგვისტოს N875 ბრძანება „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ტერიტორიული ორგანოების საუბნო სამსახურების შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე".

[26] <https://police.ge/ge/shinagan-saqmeta-saministro-sagamodziebo-sistemis-reformas-itskebs/11989> [10.03.2022]

[27] იქვე.

და შემოღებულ იქნა საქმიანობის ახალი ინსტრუქცია.[28] სისტემური განახლებისა და საქმიანობის ახალი ინსტრუქციის მიხედვით, შეიქმნა სრულიად ახალი, მართლწესრიგის ოფიცრის ინსტიტუტი, რომელიც უნდა ყოფილიყო უბნის ინსპექტორის თავდაპირველ უფლებამოსილებათა „სამართალმემკვიდრე". 2019 წელს დამტკიცებული მართლწესრიგის საქმიანობის ახალი ინსტრუქცია[29] არაფრით განსხვავდება 2005 წელს დამტკიცებული უბნის ინსპექტორის საქმიანობის ინსტრუქციისგან. იდეოლოგიურად, მართლწესიგის ოფიცერს უნდა განეხორციელებინა საზოგადოებაზე ორიენტირებული პოლიციის პოლიტიკა. სამართლებრივ უფლებამოსილებათა თვალსაზრისით, დღეს მართლწესრიგის ოფიცერს ევალება გამოძიებისა და ოპერატიული საქმიანობის გარდა, ყველა იმ საპოლიციო ფუნქციის შესრულება, რომელიც დაკავშირებულია საზოგადოებასა და პოლიციას შორის დისტანციის შემცირებასთან.

მართლწესრიგის ოფიცრები თბილისის მხოლოდ რამდენიმე რაიონში მუშაობენ. ადმინისტრაციული კუთხით ამ ინსტიტუტს აქვს მნიშვნელოვანი გამოწვევები, რის გამოც უფლებამოსილება სრულად არათუ ქვეყნის, არამედ დედაქალაქის მასშტაბითაც კი ვერ ხორციელდება სრულყოფილად.[30] კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის სისტემაში დაქვემდებარებულმა მართლწესრიგის სამსახურმა ვერ უზრუნველყო ინსტიტუციური დამოუკიდებლობა კრიმინალური პოლიციის ფუნქციებისგან და სრულად შეერწყა მას, როგორც ფუნქციურად, ასევე ორგანიზაციულადაც. ფაქტრობრივად, კრიმინალურმა პოლიციამ საუბნო მიმართულება კიდევ ერთხელ გამოიყენა ოპერატიული და საგამოძიებო საქ-

---

[28] საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2019 წლის 16 დეკემბრის N102 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გამომძიებლების, დეტექტივ-გამომძიებლების, დეტექტივის თანაშემწე-გამომძიებლების, დეტექტივების, უბნის ინსპექტორების, მართლწესრიგის ოფიცრებისა და ანალიტიკოსების საქმიანობის წესი".

[29] იქვე, მე-9 მუხლი.

[30] <https://police.ge/ge/martltsesrigis-ofitsrebma-isani-samgoris-raionshi-mushaoba-daitskes/14913> [0.03.2022]

მიანობისთვის. მართლწესრიგის სამსახური მასზე დაკისრებულ ფუნქციებს დღესდღეობით ვერ ახორციელებს, რისი ინდიკატორი სწორედ ისაა, რომ არ შეცვლილა საზოგადოებაზე ორიენტირების ხარისხი და ის გამოწვევები, რომელთა დასაძლევადაც შეიქმნა სამსახური, კვლავ აქტუალურია.[31]

მართლწესრიგის სამსახურის შექმნის მიზანი უბნის ინსპექტორთა ინსტიტუტის უფლებამოსილებათა „რეანიმირება" იყო, თუმცა მცირე ადმინისტრაციულმა რესურსებმა და ისევ და ისევ ოპერატიული და საგამოძიებო სამსახურების ზეგავლენამ ახლადშექმნილი სამსახურის ფუნქციები კვლავ შეუსრულებელი დატოვა.

IV. დასკვნა

უბნის ინსპექტორთა თავდაპირველი საქმიანობა იდეოლოგიურად იყო შერწყმული საზოგადოებაზე ორიენტირებული პოლიციის იდეასთან. სამართლებრივი კუთხით უფლებამოსილებები სწორედ ამ მიმართულებით იყო განსაზღვრული. პოლიციის საუბნო სამსახურების საქმიანობის ეფექტიანობა და წარმატება პოსტ-რევოლუციურ პერიოდში სწორედ ზემოაღნიშნულმა პოლიტიკამ განსაზღვრა.[32]

ვარდების რევოლუციიდან დღემდე ქართულ საპოლიციო სივრცეში საზოგადოებრივმა და კრიმინოგენულმა სიტუაციამ შექმნა საჭიროება, ჩამოყალიბებულიყო საზოგადოებაზე ორიენტირებული პოლიცია. პირველად ეს მოხდა 2005 წელს, ხოლო მეორედ – 2018 წელს. პირველ შემთხვევაში რეფორმა წარმატებული იყო,[33] უბნის ინსპექტორის სამსახურმა აჩვენა შედეგი, ხოლო მეორე შემთხვევა-

---

[31] ლატარია გ., მოქალაქეთა ნდობა პოლიციის მიმართ საქართველოში, თბილისი, 2017, 32.

[32] სადაღაშვილი მ., პოლიციის რეფორმები და დემოკრატიის მშენებლობა საქართველოში, თბილისი, 2014, 70.

[33] Gzirishvili T., Who Trusts the Police in Georgia? Caucasus Research Resource Center, Tbilisi, 2015, < shorturl.at/otPY3 > [29.04.2022]

ში მართლწესრიგიის სამსახურმა პრაქტიკულად თავის თავზე განიცადა ის ინსტიტუციური შეცდომები, რომლებმაც თავის დროზე უბნის ინსპექტორის სამსახურს გამოაცალა საყრდენი.

და ბოლოს, უნდა ითქვას, რომ უბნის ინსპექტორთა საქმიანობის ისტორიულ-გენეტიკური ანალიზი ცხადყოფს, რომ ამ ინსტიტუციის საჭიროება აქტუალური იქნება ყველა დროში, მიუხედავად მისი სახეცვლილებისა. აუცილებელია, განისაზღვროს სწორი სამართლებრივი ჩარჩოები და ის უარყოფითი გამოცდილება, რომელიც უკვე მეორედ მიიღო საპოლიციო საზოგადოებამ, უნდა გაანალიზდეს და პრობლემის სწორად გადაწყვეტამდე უნდა მივიდეს. ამ კუთხით შედეგი იქნება სწორედ საზოგადოების სამსახურში მყოფი პოლიცია, წინააღმდეგ შემთხვევაში, ისევ დადგება საჭიროება, შეიქმნას ახალი ან მოდერნიზდეს არსებული საპოლიციო სისტემა, რათა საზოგადოებაზე ორიენტირება გაიზარდოს და კრიმინალის წინააღმდეგ ბრძოლა წარმატებულად ჩაითვალოს.

უფლებამოსილებათა მკვეთრი დიფერენცირება და საპოლიციო საქმიანობის სწორი ადმინისტრირება აუცილებლად უზრუნველყოფს გამართული სისტემის მუშაობას. ქვეყანაში ყოველთვის დადგება სამართალდამცავთა ჯანსაღი საზოგადოების არსებობის საჭიროება, მთავარია, სახელმწიფომ უზრუნველყოს ეს საჭიროება და შემდგომ დაიცვას ამ ინსტიტუტის მთავარი მონაპოვარი – საზოგადოებაზე ორიენტირებულობის მაღალი ხარისხი.